POLISH TRACES IN THE ESTABLISHMENT OF THE "RUSSIAN TRANSCAUCASIAN COMPANY" IN THE 1820s-1830s

პოლონური კვალი „რუსეთის ამიერკავკასიური კომპანიის“ დაფუძნების საკითხში XIX საუკუნის 20-30-იან წლებში

IRAKLI BARAMIDZE
Doctor of History, Associate Professor
of Batumi Shota Rustaveli State University
N35 E. Ninoshvili st. Batumi, Georgia
ORCID: 0000-0001-7540-7006
erekle1770@hotmail.com
+99577 30 40 20

SULKHAN ALEKSAIA
Doctor of History, lecturer
of Batumi Shota Rustaveli State University
N35 E. Ninoshvili st. Batumi, Georgia
ORCID: 0009-0008-6172-0892
Mail: sulkhanialeqsaia@gmail.com
Mobile: +995 593 37 83 09

Abstract.

In 1828, a comprehensive plan-project for the economic development of Transcaucasia was submitted to the office of the Governor-General of the Caucasus I. Paskevich. The authors of the plan were Poles by origin - the great Russian writer and diplomat A. Griboyedov and the statesman, later the civil governor of Georgia P. Zavileisky. The plan envisaged the creation of a large trade and industrial enterprise - the "Russian Transcaucasian Company" on the model of the Russian-American Company.

Unfortunately, the draft charter of the Griboyedov-Zaveleisky Company, despite the fact that a number of Russian scientists were interested in the issue, has not been found. However, we have at our disposal a kind of introduction and notes to the project, which give us a certain idea of the scale of the authors' plans. The company was to be oriented towards the extraction, processing and sale of the region's natural resources, on the maximum use of resources. The factories and plants established here were to produce high-quality products that would attract Europeans and, instead of going beyond the Atlantic and Pacific Oceans, they would come here.

According to the authors, the implementation of the project would benefit both the region, the local population, and the Russian Empire in economic, socio-political, and cultural terms. They demanded the transfer of a 2-3 kilometer wide strip of Black Sea berths to the company, with the extension of the status of a porto-franco to them. The company was to have a complete monopoly on free navigation. According to A. Griboyedov, which I. Paskevich also agreed with, the Armenians who had migrated to Georgia and the Russian peasantry, who would be freed from serfdom, were to be used as labor force.

The company was to be established for 50 years, including a 15-year grace period. It was to be a joint-stock company, the initial capital of which was to be raised through the sale of shares. Although the company was indeed founded and gained the emperor's favor, its activities were soon suspended, as it contradicted the interests of Russian imperialism and the newly established bourgeoisie in the Caucasus, not only economically, but also politically. The Russian government,

obsessed with imperial intentions, was more concerned with strengthening its power in the newly conquered countries than with their socio-economic development, even if it led to an increase in the general well-being of Russia.

Keywords: Russian Transcaucasian Company; A. Griboyedov; P. Zavileisky; I. Paskevich; imperial policy.

ირაკლი ბარამიძე
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
საქართველო, ბათუმი ე. ნინოშვილის ქ. N35
ORCID: 0000-0001-7540-7006
erekle1770@hotmail.com
+995 577 30 40 20

სულხან ალექსაია
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი
საქართველო, ბათუმი ე. ნინოშვილის ქ. N35
ORCID: 0009-0008-6172-0892
Mail: sulkhanialeqsaia@gmail.com
Mobile: +995 593 37 83 09

აბსტრაქტი

1828 წელს კავკასიის მთავარმართებელ ი. პასკევიჩის კანცელარიაში შევიდა ამიერ-კავკასიის ეკონომიკური განვითარების ყოვლისმომცველი გეგმა-პროექტი, რომლის ავტორები იყვნენ წარმოშობით პოლონელები – დიდი რუსი მწერალი და დიპლომატი ალ. გრიბოედოვი და სახელმწიფო მოხელე, მოგვიანებით საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი პ. ზავილეისკი. გეგმა ითვალისწინებდა რუსულ-ამერიკული კომპანიის მოდელის მიხედვით, დიდი სავაჭრო-სამრეწველო საწარმოს, **„რუსეთის ამიერკავკასიური კომპანიის“** შექმნას.

სამწუხაროდ, გრიბოედოვ-ზაველეისკის კომპანიის წესდების პროექტი, მიუხედავად იმისა, რომ საკითხით არაერთი რუსი მეცნიერი დაინტერესდა, არაა მიკვლეული. თუმცა, ჩვენს ხელთაა პროექტის ერთგვარი შესავალი და შენიშვნები, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ავტორთა გეგმების მასშტაბურობაზე. კომპანია უნდა ყოფილიყო ორიენტირებული რეგიონის ბუნებრივი რესურსების მოპოვება-გადამუშავება-გაყიდვაზე, რესურსების მაქსიმალურ გამოყენებაზე. აქ მოწყობილ ფაბრიკა-ქარხნებს უნდა გამოეშვათ მაღალი ხარისხის პროდუქცია, რომელიც მოიზიდავდა ევროპელებს და ატლანტიკისა და წყნარი ოკეანეების მიღმა წასვლის ნაცვლად, აქ მოვიდოდნენ.

ავტორთა აზრით, პროექტის განხორციელებით მოგებული დარჩებოდა როგორც რეგიონი, ადგილობრივი მოსახლეობა, ისე რუსეთის იმპერია ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით. ისინი ითხოვდნენ შავიზღვისპირა ნავმისადგომების 2-3 კილომეტრიანი სიგანის ზოლის კომპანიისთვის გადაცემას, მათზე პორტო-ფრანკოს სტატუსის გავრცელებით. კომპანიას უნდა ჰქონოდა სრული მონოპოლია თავისუფალ ნაოსნობაზე. სამუშაო ძალად, ა. გრიბოედოვის აზრით, რასაც ი. პასკევიჩიც ეთანხმებოდა, უნდა გამოეყენებინათ საქართველოში გადმოსახლებული სომხები და რუსი გლეხობა, რომლებიც განთავისუფლდებოდნენ ბატონყმობისაგან.

კომპანია 50 წლით იქმნებოდა, მათ შორის 15 წლიანი საშეღავათო პერიოდით. ეს უნდა ყოფილიყო სააქციო საზოგადოება, რომლის საწყისი კაპიტალიც აქციების გაყიდვით შედგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია მართლაც დაფუძნდა და იმპერატორის კეთილგანწყობილებაც მოიპოვა, მისი საქმიანობა მალევე შეჩერდა, რადგანაც ის ეწინააღმდეგებოდა რუსული იმპერიალიზმისა და ახლადფეხადგმული ბურჟუაზიის ინტერესებს კავკასიაში არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც. რუსეთის იმპერიული ზრახვებით შეპყრობილი ხელისუფლება ახალ დამორჩილებულ ქვეყნებში ხელისუფლების განმტკიცებაზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე მის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაზე, თუნდაც მას რუსეთის ზოგადი კეთილდღეობის ამაღლება მოჰყოლოდა.

საკვანძო სიტყვები: რუსეთის ამიერკავკასიური კომპანია; ალ. გრიბოედოვი; პ. ზავილეისკი; ი. პასკევიჩი; იმპერიული პოლიტიკა.

შესავალი

XIX საუკუნის 20-იან წლებში, რუსეთის საიმპერატორო კარისა და ფინანსთა მინისტრ გრაფ კანკრინის უშუალო ხელმძღვანელობით, განიხილებოდა ამიერკავკასიის სი, რცის განვითარების რამდენიმე გეგმა. მათ შორის ყველაზე მასშტაბური და, ამავე დროს, გასაიდუმლოებული იყო „რუსეთის ამიერკავკასიური კომპანიის“ პროექტი, რომლის ავტორები იყვნენ ალ. გრიბოედოვი და პ. ზაველეისკი და რომელიც განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს მისი ეკონომიკური პოტენციალის კუთხით.

რუსი მწერალი და დიპლომატი ალექსანდრე გრიბოედოვი[1] საქართველოში პირველად 1818 წლის ოქტომბერში ჩამოვიდა. იგი დიპლომატიური მისიით სპარსეთში მიემგზავრებოდა, თუმცა მისია რატომღაც თბილისში დაყოვნდა მთელი სამი თვის განმავლობაში. ტფილისში 1821 წლის ნოემბერში დაბრუნდა, მთავარმართებლისათვის პატაკის გადასაცემად, თუმცა მოვლენები ისე განვითარდა, რომ დარჩა ხანგრძლივად: 1822 წლის თებერვალში ალექსანდრე გრიბოედოვი დაინიშნა ჩინოვნიკად მთავარმმართებელ ალექსეი ერმოლოვის ადმინისტრაციის დიპლომატიურ ნაწილში. 1823-25 წლებში ისევ რუსეთშია. 1826 წელს დეკაბრისტებთან შესაძლო კავშირის გამო დააპატიმრეს, თუმცა სამხილის არარსებობის გამო მალე გაათავისუფლეს. ამავე წელს უკვე თბილისშია. რუსეთ-ირანის ომის დროს მონაწილეობდა მოლაპარაკებებში და თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულების (1828) პირობების შემუშავებაში. დაინიშნა რუსეთის ელჩად ირანში. 1828 წლის სექტემბერში იქორწინა პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილზე – ნინოზე. სამწუხაროდ, ერთად ცხოვრება მათ მხოლოდ რამდენიმე თვე მოუწიათ. 1929 წლის თებერვალში გრიბოედოვი ტრაგიკულად დაიღუპა თეირანში.

საინტერესოა, როგორ აღმოჩნდა ეროვნებით პოლონელი, ახალგაზრდა პ. ზავილეისკი საქართველოში? 1827 წლის მარტში, რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა კავკასიის კორპუსის მთავარსარდლად დანიშნა წარმოშობით უკრაინელი გენერალი ივანე თევდორეს ძე პასკევიჩი, რომელიც უმაღლეს მმართველობაში კარგი რეპუტაციით სარგებლობდა (Берг, 1866, стр. 30). თბილისში ჩამოსვლისთანავე გენერალმა პასკევიჩმა ადმინისტრაცია საკუთარი კადრებით დააკომპლექტა. მათი უმრავლესობა წარმოშობით პოლონელები იყვნენ. მათ შორის გახლდათ პ. ზავილეისკიც. იგი 1832 წლამდე მოღვაწეობდა საქართველოში. მან მუშაობა დაიწყო სახაზინო ექსპედიციის უფროსად. 1828 წლის 25 აპრილს დაინიშნა საქართველოს ვიცე-გუბერნატორად საფინანსო ნაწილში, 1829 წლის 4 თებერვალს კი –

[1] იყო წარმოშობით პოლონელი. მისი წინაპარი იან გჟიბოვსკი XVII საუკუნის დასაწყისში გადასახლდა პოლონეთიდან მოსკოვში. მისი გვარი გრიბოედოვი გჟიბოვსკის თავისებურ თარგმანს წარმოადგენს.

საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორად (სსცა, ფ. 2, ან. 1, ს. 2340, გვ. 1-16). 1831 წლის გაზაფხულზე, პასკევიჩის შუამდგომლობით, ზაველეისკიმ მიიღო ნამდვილი სახელმწიფო მრჩევლის წოდება, მაგრამ იმავე წლის ბოლოს მისი კარიერა ამიერკავკასიაში სამუდამოდ შეწყდა.

სხვათა შორის, ზაველეისკის სახელს უკავშირდება საქართველოში მინის ქარხნის მშენებლობის სააქციო საზოგადოების პროექტი. ქარხანა, კერძო მესაკუთრეთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ბორჯომის ხეობაში აშენდა და იყო პირველი სააქციო საზოგადოება საქართველოში.

სამწუხაროდ, გრიბოედოვ-ზაველეისკის "რუსული ტრანსკავკასიური კომპანიის" წესდება, მიუხედავად იმისა, რომ საკითხით არაერთი რუსი მეცნიერი დაინტერესდა და მრავალი საარქივო დოკუმენტი იქნა შესწავლილი (როგორც პასკევიჩის პირადი არქივიდან, ასევე, მოსკოვის სახელმწიფო ცენტრალური სამხედრო-ისტორიული არქივიდან), ვერ იქნა მოძიებული. შესაბამისად, ცალკეული საკითხები კვლავაც ბუნდოვანი რჩება. თუმცა, ჩვენს ხელთაა 1828 წლის 17 ივლისს, ავტორთა ხელმოწერით შესრულებული პროექტის ერთგვარი შესავალი და კავკასიის მთავარმართებელ ი. პასკევიჩისადმი იმავე წლის 7 სექტემბერს გაგზავნილი შენიშვნები, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მათი გეგმების მასშტაბურობაზე.

პირველად, ამ პროექტის შესახებ ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა 1831 წელს, როდესაც გაზ. "Тифлисские ведомости"-ში (№18-20) დაიბეჭდა უცნობი ავტორის სტატია "რუსეთის ამიერკავკასიური კომპანიის" შესახებ. ავტორი იუწყებოდა, რომ 1828 წელს პ. ზაველეისკიმ და ალ. გრიბოედოვმა დაწერეს ეს პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ამიერკავკასიაში მიწათმოქმედებისა და მებაღეობის განვითარებას. მრეწველობის აღორძინებას, ახალი ქარხნებისა და ფაბრიკების გახსნას. რაც დიდ მოგებას მოუტანდა მთელ იმპერიას.

მართალია, აღნიშნული სტატია ძირითადად აღწერითი ხასიათისაა და პ. ზაველეისკისა და ალ. გრიბოედოვის პროექტს მიჰყვება. თუმც, არის ცალკეული საკითხები, რომელიც ერთგვარი სიახლეა. საუბარია, რომ კომპანია წარმატებული იქნება თუკი გაითვალისწინებენ ევროპის ქვეყნების, კომპეტენტურ მრეწველთა გამოცდილებას და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკურ მოდელს. ამ შემთხვევაში ჩვენ ვხელმძღვანელობთ ა. გრიბოედოვის თხზულებათა სრულ კრებულში მოთავსებული ვარიანტით.

მეთოდები

ნაშრომი ეყრდნობა ა. გრიბოედოვისა და პ. ზავილეისკის ავტორობით დაწერილი "რუსეთის ამიერკავკასიური კომპანიის" წესდების ერთგვარ შესავალს და შენიშვნებს, რომელიც გამოქვეყნებულია მწერლის თხზულებათა სრული კრებულის მესამე ტომში (Санкт-Петербург, 2006). თავის დროზე, პირველად თითოეული ეს ნაწილი დაიბეჭდა გაზ. "Тифлисские ведомости"-სა (1831 წ.) და ჟურნალ "Русский вестник"-ში (1891 წ.). ასევე, საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივის დოკუმენტებს, 1832 წლის შეთქმულების საგამოძიებო და კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ მოპოვებულ მასალებს. კვლევა იყენებს სპეციალური სამეცნიერო და მემუარული ლიტერატურის მონაცემებს. ნაშრომი დაიწერა საისტორიო წყაროების და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე.

კვლევისას გამოყენებულია წყაროების კრიტიკული ანალიზის, ისტორიულ-შედარებითი და საისტორიო კვლევაში აპრობირებული სხვა მეთოდები, რაც საშუალებას გვაძლევს ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების თითქმის 2 საუკუნის წინანდელი პროექტი განვიხილოთ ეპოქის სულისკვეთების გათვალისწინებით. შესაბამისი ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია წარმოშობით პოლონელ ავტორთა იდეების არსი, სირთულეები

მათი გეგმების რეალიზების გზაზე, კომპანიის საქმიანობის შეჩერების მიზეზები და სხვა თანამდევი საკითხები.

დისკუსია და შედეგები

ამიერკავკასიის ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციისა და ცნობილი რუსულ-ამერიკული კომპანიის მოდელის მიხედვით დიდი სავაჭრო-სამრეწველო საწარმოს ორგანიზების იდეა გრიბოედოვს 1828 წლამდე დიდი ხნით ადრე გაუჩნდა. ჯერ კიდევ 1823 წელს ფიქრობდა იგი სპარსეთთან საქონლის გაცვლის კომპანიის დაარსებაზე, თუმცა, განუზომლად მცირე მასშტაბით. 1828 წლისთვის პროექტს უკვე დასრულებული სახე ჰქონდა მიღებული.

პროექტის დღემდე შემორჩენილ, შესავალში განსაზღვრულია მისი მიზანი, განხორციელების გზები და შესაძლო შედეგები. ავტორები დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ ამიერკავკასიის რეგიონის ბუნებრივი რესურსები იმდენად მრავალფეროვანი და მდიდარია, რომ საჭიროა მხოლოდ იმის შერჩევა, რომელთა გადამუშავებაც ყველაზე სასარგებლო იქნება: ამათგან ყურძენი, აბრეშუმი, ბამბა, სამკურნალო მცენარეები, თამბაქო, მატყლი და სხვ. შეიძლება იქცეს წარმოების უმნიშვნელოვანეს დარგებად. კერძო პირების შესაძლებლობები შეზღუდულია, რათა ამ რეგიონს სასურველი კეთილდღეობის დონე მოუტანოს.

საჭიროა ხელისუფლების ძალისხმევა, რათა ფართო გასაქანი მიეცეს ვაჭრობასა და მრეწველობას. ამ მიზნით აუცილებელია შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და სავაჭრო კომპანია, რომელსაც შეეძლება ყველა იმ ბუნებრივი რესურსის მოპოვება, რომელთა წარმოება, დამუშავება და გაუმჯობესება, ასევე ყველაზე შორეულ სახელმწიფოებში გაყიდვა, აღემატება თითოეული ინდივიდის შესაძლებლობებს.

მებაღეობას და სოფლის მეურნეობას შეუძლია დაუყოვნებლივ მოიტანოს საიმედო შემოსავალი. გარდა ამისა, მოსახლეობის ტანსაცმლითა და საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის აუცილებელი ნივთებით მომარაგებისთვის საჭირო უმარტივესი ქარხნების დაარსება, რომლებიც დიდ ხარჯებს არ მოითხოვს, კომპანიას თავიდანვე გაუჩენს შემოსავლის უმნიშვნელოვანეს წყაროს. თანდათან კი ხარჯი, რაც აზიის სიღრმიდან საქონლის ტრანსპორტირებისთვის იყო საჭირო, შემცირდება, რადგან დაინტერესებული პირები იგივეს აქვე იშოვნიან. მალე ევროპელებიც გამოემართებიან საქართველოსკენ, რადგან იგივე ხარისხის პროდუქცია, იმავე რაოდენობით დახვდებათ აქ და არ მოუწევთ ატლანტიკისა და წყნარი ოკეანეების გადალახვა.

გრიბოედოვ-ზაველეისკის აზრით, პროექტის განხორციელებით მოგებული დარჩება როგორც რეგიონი, ადგილობრივი მოსახლეობა, ისე რუსეთის იმპერია ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისითაც. არაფერი განამტკიცებს უფრო ძლიერად რუსების კავშირს ამიერკავკასიის მაცხოვრებლებთან, არაფერი ისე არ დააახლოებს მათ ერთმანეთთან, როგორც საერთო სარგებლისთვის ზრუნვა. მხოლოდ ამ გზით გაქრება ის გაუცხოვება, რომლებიც ჩვენსა და ჩვენს დაქვემდებარებულ ხალხებს შორის მკვეთრ ხაზს ავლებს – აღნიშნულია შესავალში.

პროექტის ავტორები ვარაუდობდნენ, რომ უკვე პირველ წლებში იმპორტირებული პროდუქციის მეოთხედს ამიერკავკასიიდან შეავსებდნენ, ეკონომიკის უკეთეს რელსებზე გადაყვანის შემთხვევაში კი შემოსავლები რამდენჯერმე გაიზრდებოდა. მრავლისმეტყველია მათი ნააზრევის ერთგვარი შეჯამება: „რაც უფრო მეტად იგრძნობს ადგილობრივი მოსახლეობა ახალი, შეცვლილი ცხოვრების წესის სარგებელსა და სიამოვნებას, მით უფრო შეიყვარებენ იმ ტიპის მთავრობას, რომელმაც ისინი ამ დონეზე აიყვანა და ნებაყოფლობით ჩადგებიან მის დამცველთა რიგებში. ნებისმიერ შემთხვევაში, ისინი რუსეთს გადაურჩენენ მისი ათასობით შვილის ძვირფას სიცოცხლეს, რომელსაც აქ ტოვებენ არა ბრძოლების, ან თავდასხმების გამო არამედ, მათთვის უჩვეულო კლიმატის მიზეზით“ (Грибоедов, 2006, стр. 325-339).

1828 წლის 7 სექტემბერს, კავკასიის მთავარსარდალ ი. პასკევიჩს გადაეგზავნა **„შენიშვნა რუსეთის ამიერკავკასიური კომპანიის დაარსების შესახებ“,** ა. გრიბოედოვისა და პ. ზაველეისკის ხელმოწერით. პირველად იგი 1891 წელს, ჟურნალ “Русский вестник”-ის მე-9 ნომერში გამოაქვეყნა ა. პ. მალშინსკიმ, რომელსაც ეკუთვნის ამ საარქივო დოკუმენტის აღმოჩენა. მასში კიდევ უფრო დეტალურადაა წარმოჩენილი საკითხი. საინტერესოა, რომ ავტორები ითხოვენ შავიზღვისპირა ნავმისადგომების 2-3 კილომეტრიანი სიგანის ზოლის კომპანიისთვის გადაცემას, მათზე პორტო-ფრანკოს სტატუსის გავრცელებით, რაც შესამჩნევ გავლენას მოახდენდა როგორც კომპანიის, ისე მთელი რეგიონის სავაჭრო ბრუნვის გაფართოებაზე. „ბათუმის პორტი, თუ ის ჩვენს საზღვრებში შემოვა, თავისი მდებარეობის გამო კომპანიისთვის ძალიან ხელსაყრელი იქნება. საქართველოდან იქ მიმავალი გზების სირთულის და ჩვენი ამიერკავკასიური სამფლობელოებისგან სიშორის გამო ეს პორტი ხაზინას მცირე სარგებელს მოუტანს. თუმცა, კომპანიის ძალისხმევით დაიგეგმება მოსახერხებელი სავაჭრო გზა და მოეწყობა ყველაფერი, რაც საჭიროა საწყობისა და სავაჭრო პუნქტის დასაარსებლად...“. ბოლოს ავტორები იმედოვნებენ, რომ ამიერკავკასიის კომპანიის წესდების პროექტი მალევე მიეწოდება იმპერატორს განსახილველად და სთავაზობენ მთავარმართებელ პასკევიჩს, როგორც ამიერკავკასიის კეთილისმყოფელსა და მისი უსაფრთხოების დამცველს, გახდეს კომპანიის პრეზიდენტი (Грибоедов, 2006, стр. 339-344).

მალშინსკის მიერ მიკვლეული **„შენიშვნა რუსეთის ამიერკავკასიური კომპანიის პროექტზე“** იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მის არშიებზე თვით გრაფ პასკევიჩის კომენტარებია გაკეთებული. პირველ კომენტარში გრაფი აღნიშნავს, რომ მრეწველობის განვითარება არა მარტო კომპანიას, არამედ მთელ იმპერიას მოუტანს მოგებას. მისი შენიშვნით, სახელმწიფო ბაღები უნდა გაიცეს არა არენდით, არამედ უნდა შეისყიდოს კომპანიამ, რომ შემდეგ მოუსავლიანობა არ მოიმიზეზოს გადასახადებისგან თავის არიდების მიზნით.

პასკევიჩის აზრით, ბათუმი მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით უნდა გადაეცეს რუსეთს და შემდეგ ამ კომპანიას, რომელსაც ბათუმისაკენ მიმავალი საქარავნო გზების გასაკონტროლებლად უნდა ჰყავდეს საკუთარი ჯარი.

პასკევიჩს პროექტი განსახილველად გადაუცია პოლკოვნიკ ბურცევისთვის (წარსულში დეკაბრისტთა მოძრაობის მონაწილე). იგი კრიტიკულად იყო განწყობილი, შეშინებული ასეთი უზარმაზარი წამოწყებით და მიიჩნევდა, რომ ამიერკავკასიაში არსებულ მცენარეთა მონოპოლიური გამოყენება კომპანიას ძალიან დიდ მოგებას მოუტანს და მას გახდის სახელმწიფოს სახელმწიფოში.

პ. ზაველეისკისა და ალ. გრიბოედოვის “რუსეთის ამიერკავკასიური კომპანიის“ დაარსების საკითხით დაინტერესდა XX საუკუნის ძალიან ბევრი მეცნიერი. მათ არა ერთი ნაშრომი მიუძღვნეს აღნიშნულ საკითხს. მათგან აღსანიშნავია ი. კ. ენიკოლოფოვი (Ениколопов И. К., 1929), ვ. პარსამიანი (Парсамян, 1945) სომხურ ენაზე), ვ. შადური (Шадури, 1946), მ. ვ. ნეჩკინა (Нечкина, 1947), მ. კ. როჟკოვა (Рожкова, 1949). ავტორები ცდილობენ პროექტის ცალკეული საკითხები სიღრმისეულად განიხილონ. რაც თავის მხრივ ძალიან საინტერესოა. ცალკე აღნიშვნის ღირსია ო. პ. მარკოვას ფუნდამენტური კვლევა – “ახალი მასალები პ. ზაველეისკისა და ალ. გრიბოედოვის რუსეთის ამიერკავკასიური კომპანიის პროექტთან დაკავშირებით“ (Маркова, 1951). 80 გვერდიან კვლევაში ავტორი დეტალურად განიხილავს საკითხს. სწორედ მან, საარქივო მასალების შესწავლის შემდეგ გამოარკვია, რომ არსებობდა “რუსეთის ამიერკავკასიური კომპანიის“ პროექტის კიდევ ერთი კრიტიკოსი (პოლკოვნიკ ბურცევის გარდა) – გენერალი მ. ს. ჟუკოვსკი, რომელმაც ცალსახად დაგმო პროექტი მემამულისა და პოლიტიკური რეაქციონერის პოზიციიდან.

1968 წელს, სრულიად შემთხვევით მწერალ ირ. ანრონიკოვს ხელში ჩაუვარდა პ. ზაველეისკის პირადი დღიური (Андроников, 1968), რომელშიც საუბარი იყო “რუსეთის ამიერკავკასიური კომპანიის“ პროექტის შესახებ. რომ უნდა დაარსებულიყო სამხრეთ კავკასიაში

პირველი ფაბრიკა-ქარხნები (შაქრის, მაუდის, ტყავისა და შუშის ტარის); განვითარებულიყო მევენახეობა, მეღვინეობა, მეაბრეშუმეობა; მოეყვანათ ბამბა, თამბაქო და ა. შ. ამისათვის საჭირო იყო ინფრასტრუქტურული პროექტებიც – გზების გაყვანა და სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნიკური საშუალებების დანერგვა. ამ პროექტისთვის მთავრობიდან ითხოვდნენ შავი ზღვის პირას (სამეგრელოსა და იმერეთში) 120 ათასი დესეტინა მიწას არენდით, შეღავათიანი ტარიფებით. კომპანიას უნდა ჰქონოდა სრული მონოპოლია თავისუფალ ნაოსნობაზე. სამუშაო ძალად, ა. გრიბოედოვის აზრით, რასაც ი. პასკევიჩიც ეთანხმებოდა, უნდა გამოეყენებინათ საქართველოში გადმოსახლებული სომხები და რუსი გლეხობა, რომლებიც განთავისუფლდებოდნენ ბატონყმობისაგან. პ. ზაველეისკის თანახმად, აღნიშნული პროექტი ანალოგიური იყო ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური პროექტისა. გლობალური თვალსაზრისით, კომპანიას უნდა შეესრულებინა შუამავლის როლი მსოფლიო ვაჭრობაში ევროპასა და აზიას შორის.

შეიძლება ითქვას, რომ გრიბოედოვ-ზაველეისკის პროექტით იცვლებოდა საქართველოსა და მთელი რუსეთის იმპერიის ეკონომიკური სურათი. საქართველო რუსეთის ეკონომიკურ ფლაგმანად იქცეოდა.

როგორც 1828 წლის 30 ოქტომბრის ერთი კერძო წერილიდან ირკვევა, პასკევიჩს პირადად მიუწერია იმპერატორისთვის პროექტის თაობაზე და ა. გრიბოედოვის ვარაუდით, კომპანია დაფუძნდებოდა (https://runivers.ru/doc/d2.php?CENTER_ELEMENT_ID=147286, თ. გ.). სამწუხაროდ, გრიბოედოვი მოვლენათა შემდგომ განვითარებას ვერ მოესწრო.

1829 წლის 23 ოქტომბერს, პ. ზაველეისკიმ რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ პირველს გაუგზავნა დეტალური ანგარიში, სადაც საქმის დიდი ცოდნით ნაჩვენებია ამიერკავკასიის ფინანსურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სურათი (Рапорт Завелейского Николаю I от 23 октября 1829 г., 1878, стр. 23-25). იმპერატორი დაინტერესდა ამიერკავკასიის ფინანსურ-ეკონომიკური შესაძლებლობებით და სთხოვა იმპერიის ფინანსთა მინისტრს, გრაფ კანკრინს გამოეყო კომისია და ჩაეტარებინათ ამიერკავკასიის კამერალური აღწერა.

რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრის, გრაფი კანკრინის ზედამხედველობით და პ. ზავილეისკის ხელმძღვანელობით დაიწყეს ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავება (სსცა, ფ. 2, ან. 1, ს. 1812). ამიერკავკასიის პროვინციების სტატისტიკურ, ეთნოგრაფიულ, ტოპოგრაფიულ, ფინანსურ აღწერასთან ერთად უნდა შეესწავლათ ბუნებრივი რესურსები, ადგილობრივი მოსახლეობის რიცხოვნობა, ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები, რაც მიზნად ისახავდა სიღარიბის დაძლევას. ამ კომისიის მუშაობის შედეგი იყო ოთხტომეული „კავკასიის მიღმა რუსული სამფლობელოების მიმოხილვა“, რომელიც გამოიცა 1836 წელს კომისიის წევრის ვ. ლეგკობიტოვის რედაქტორობით (Обозрение Российских владений за Кавказом в статистическом, этнографическом, топографическом и финансоовом отношенях, ч. I-IV, 1836-1840).

პ. ზაველეისკის სახელთან ასოცირდება 1831 წელს, საქართველოდან მის გამგზავრებამდე დაარსებული მეორე სააქციო საზოგადოება – „ამიერკავკასიის სავაჭრო დეპო“, რომელიც, არ უნდა აგვერიოს გრიბოედოვის მიერ დაპროექტებულ რუსეთის ამიერკავკასიურ კომპანიაში. ორგანიზაციების მიზნები და ხასიათი განსხვავებული იყო: ახალი კომპანიას მხოლოდ სავაჭრო მიზნები ჰქონდა და საერთოდ არ იყო დაინტერესებული რეგიონის საწარმოო ძალების განვითარებით. ამ კომპანიაში პ. ზაველეისკი მცირე ხნით ირიცხებოდა მზრუნველ ზედამხედველად.

მკვლევარები გ. ხუნდაძე და ვლ. კიკალიშვილი მიიჩნევენ, რომ გრაფმა ი. პასკევიჩმა არ მიიღო გრიბოედოვის პროექტი, რადგანაც ის ეწინააღმდეგებოდა რუსული იმპერიალიზმისა და ახლადფეხადგმული ბურჟუაზიის ინტერესებს კავკასიაში არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც. რუსეთის ბიუროკრატია სრულებით არ ზრუნავდა მხარის აყვავების პერსპექტივებზე, სამაგიეროდ ახორციელებდა იმ პროექტებს, რომლებიც საქართველოს სამუდამო ჩამორჩენას უქადდა, რადგანაც მეფის ბიუროკრატია

საქართველოს განიხილავდა, როგორც რუსეთის მრეწველობის ნედლეულის ბაზას (ხუნდაძე, გ., კიკალიშვილი, ვ., 2012, გვ. 96-97).

მსგავსი შეხედულება მანამდე არაერთმა რუსმა მკვლევარმა დააფიქსირა. ო. მარკოვას აზრით, პასკევიჩს კავკასიის მმართველობის რეფორმირების საკუთარი პროექტი ჰქონდა, რაც განსხვავდებოდა გრიბოედოვ-ზაველეისკის ხედვისგან. პასკევიჩის სამოქალაქო საქმიანობის მიზანი იყო პროვინციების საბოლოო კონსოლიდაცია და იქ სრული კოლონიური მმართველობის დამყარება. რუსეთის ამიერკავკასიური კომპანიის პროექტის მიზანი კი იყო გარეუბნების ყოვლისმომცველი განვითარება რუსული სახელმწიფოს ძლიერების განსამტკიცებლად. გრიბოედოვისა და ზაველეისკის პროექტი, რომელიც მთავრობას მინიმალურ როლს ანიჭებდა რეგიონის ცხოვრებაში, მთლიანად კერძო ინიციატივასა და საქმიანობაზე იყო დაფუძნებული და ეწინააღმდეგებოდა მთავრობის კოლონიურ პოლიტიკას, რა თქმა უნდა, წინასწარ განწირული იყო წარუმატებლობისთვის. განსაკუთრებით მიუღებელი იყო საკუთარ ძალებში დარწმუნებული ცარისტული ავტოკრატიისთვის ექსკლუზიური მონოპოლიების მოთხოვნა, რომელსაც პროექტის ავტორები კომპანიისთვის ითხოვდნენ და რომლის გარეშეც მისი არსებობა შეუძლებელი იყო. უკვე მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთის მთავრობა არ უჭერდა მხარს ექსკლუზიურ მონოპოლიებს. გამონაკლისს წარმოადგენდა რუსულ-ამერიკული კომპანია (Маркова, 1951).

არადა, თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა. "რუსეთის ამიერკავკასიური კომპანია" არა მხოლოდ შეიქმნა, არამედ, როგორც იტყობინებოდა დედაქალაქის გაზეთი 1831 წლის იანვარში, ის თვით იმპერატორმა დაამტკიცა. ზაველეისკი და პასკევიჩი აქტიურად მონაწილეობდნენ მის ორგანიზაციაში, ხოლო გენერალი ჟუკოვსკი იყო პირველ აქციონერთა შორის (კომპანიის საწყისი კაპიტალი აქციების გაყიდვით უნდა შემდგარიყო). ამის მიუხედავად, კომპანია რომ არ შედგა, ამას მრავალი მიზეზი ჰქონდა, გაცილებით მნიშვნელოვანი, ვიდრე „გაბრაზებული" გენერლის, ან მისი სახელოვანი მფარველის მიერ პროექტის მხარდაჭერა ან უარყოფა (Тархова, 1994).

ტარხოვას თქმით, გენ. ჟუკოვსკის შენიშვნების მკაცრმა ტონმა, მიუხედავად იმისა, რომ ის აკრიტიკებდა ცალკეულ პარაგრაფებს და არა პროექტს მთლიანობაში, მას გრიბოედოვისა და ზაველეისკის გეგმების გამანადგურებლის რეპუტაცია შეუქმნა, რასაც ჟუკოვსკი არ იმსახურებს, რადგან იგი დადებითად აფასებს ამიერკავკასიის კომპანიის პროექტს. გენერალი არ ეთანხმებოდა პროექტის ავტორებს მხოლოდ ადგილობრივი მრეწველობის განვითარების საკითხებში (ის თვლიდა, რომ ეს ზიანს მიაყენებდა რუსეთის საწარმოო ძალების განვითარებას) და კომპანიისთვის პრივილეგიების მინიჭების საკითხებში (Тархова, 1994, გვ. 289-294).

ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია ი. ენიკოლოფოვის მოსაზრება პროექტის ავტორთა (პ. ზაველეისკი და ალ. გრიბოედოვი) და მისი კრიტიკოსის, პოლკოვნიკ ბურცოვას მსოფლმხედველობის თანხვედრაზე დეკაბრისტების შეხედულებებთან. ენიკოლოფოვი მიიჩნევს, რომ პ. ზაველეისკისა და ალ. გრიბოედოვის მიერ შექმნილი პროექტი გაჯერებული იყო დეკაბრისტული პოლიტიკურ-ეკონომიკური სულისკვეთებით (Ениколопов И. , 1954, გვ. 68).

შეიძლება ითქვას, რომ პ. ზაველეისკისა და ალ. გრიბოედოვის „რუსეთის ამიერკავკასიური კომპანიის" პროექტი იმ პერიოდისათვის პროგრესული, ბურჟუაზიული იდეოლოგიითაა დაწერილი და მასში იგრძნობა მოწინავე დეკაბრისტთა იდეური გავლენა. თავის მხრივ, გრაფი პასკევიჩი და პროექტის ორთავე კრიტიკოსი – პოლკოვნიკი ბურცოვა და გენერალი ჟუკოვსკიც ამ მსოფლმხედველობის მიმდევარნი არიან. ასეთი შეხედულებებით გაჯერებულ პროექტში, იმდროინდელი ბიუროკრატიის პირობებში, ბუნებრივია, პროექტის დანერგვა და მისი შემდგომი განვითარება (კომპანია 50 წლით იქმნებოდა, მათ შორის 15 წლიანი საშეღავათო პერიოდით) სრულიად წარმოუდგენელი იყო.

საინტერესოა, რომ პროექტის შედგენიდან ხუთი წლისთავზე, 1833 წლის 26 იანვარს, გენერალმა ჟუკოვსკიმ თავისი „კრიტიკული შენიშვნები“ გადაუგზავნა პასკევიჩის მემკვიდრეს კავკასიაში – მთავარმართებელ გ. ვ. როზენს. „კომპანიისადმი“ ახალი ინტერესი არ არის შემთხვევითი. სწორედ ამ დროს იძიებდნენ 1832 წლის შეთქმულების საქმეს და როზენს პ. ზაველეისკი მიაჩნდა შეთქმულთა თანამზრახველად. ცხადია, როზენის თვალში, პროექტი შეიძლება ზაველეისკის დანაშაულის მტკიცებულებად ქცეულიყო (Маркова, 1951).

მთავარმართებელი როზენი პოლონელი პ. ზაველეისკის ქართველთა 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობას ამ პროექტის თანაავტორობას რომ უკავშირებს და ერთგვარ მტკიცებულებად მიიჩნევს, ასევე, დღემდე კომპანიის წესდების, რომელიც დაკარგულად ითვლება, კვალს რომ გრაფ პასკევიჩამდე მივყავართ, შესაძლოა, არ იყოს შემთხვევითი. მკვლევარ გ. გოზალიშვილის აზრით, სწორედ, ეს იყო მთავარი მიზეზი, რის გამოც პ. ზაველეისკი 1832 წლის შეთქმულად იყო მიჩნეული (გოზალიშვილი, 1935, გვ. 36-37). თუმცა, უტყუარი მტკიცებულებების არ ქონის გამო პ. ზაველეისკი გადაურჩა დაპატიმრებას.

დასკვნა

ამრიგად, XIX საუკუნის 20-30-იან წლებში გრანდიოზული კომერციული პროექტის – „რუსეთის ამიერკავკასიური კომპანიის“ (რომელიც ითვალისწინებდა ამიერკავკასიის ყოვლისმომცველ განვითარებას, ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობას, მოსახლეობის დასაქმებას და მათი ცხოვრების დონის ამაღლებას, რეგიონის არა მხოლოდ ნედლეულის მოპოვებისა და გასაღების ბაზრად გადაქცევას, არამედ საწარმოო ინფრასტრუქტურის მოწყობას) შექმნის სათავეებთან დგანან წარმოშობით პოლონელები – ცნობილი მწერალი, დიპლომატი ა. გრიბოედოვი და სახელმწიფო მოხელე პ. ზაველეისკი, ორივე ქართველებთან მჭიდრო კავშირში მყოფი.

სამწუხაროდ, რუსეთის იმპერიული ზრახვებით შეპყრობილმა ხელისუფლებამ, რომელიც ახალდამორჩილებულ ქვეყნებში ხელისუფლების განმტკიცებაზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე მის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაზე, თუნდაც მას რუსეთის ზოგადი კეთილდღეობის ამაღლება მოჰყოლოდა, არ დანერგა პრაქტიკაში გრიბოედოვ-ზაველეისკის იდეები და ერთგვარი პოზიტიური დასაწყისის მიუხედავად, საბოლოოდ შეაჩერა პროექტის განხორციელება, რაც, სხვათა შორის, 1832 წლის შეთქმულებაში პ. ზაველეისკის მონაწილეობის ბრალდებასაც დაუკავშირა.

გამოყენებული ლიტერატურა

სსცა, ფ. 2, ან. 1, ს. 1812. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი.

სსცა, ფ. 2, ან. 1, ს. 2340. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი.

გოზალიშვილი, გ. (1935). *1832 წლის შეთქმულება, I.* ტფილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ხუნდაძე, გ., კიკალიშვილი, ვ. (2012). *საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის ისტორიიდან.* თბილისი.

https://runivers.ru/doc/d2.php?CENTER_ELEMENT_ID=147286.

Андроников, И. (1968). Тетрад Василия Завилейского. *“Прометеи“, №5.*

Берг, Н. Б. (1866). *Записки Берга о польских договорах и востания 1831-1863 гг.* Вилъно.

Грибоедов, А. С. (2006). *Полное собрание сочинений в трех томах, том третий, письма, документы, служебные бумаги.* Санкт-Петербург.

Ениколопов, И. (1954). *Грибоедов в Грузии.* Тбилиси: Издательство Заря Востока.

Ениколопов, И. К. (1929). *А. С. Грибоедов в Грузии и Персии.* Тбилиси.
Маркова, О. (1951). Новые материалы о проекте "Российской закавказской компаний" А. С. Грибоедова и П. Д. Завилейского,. *Исторический архив, т. 6.*
Нечкина, М. В. (1947). *А. С. Грибоедов и декабристы.* Москва-Ленинград.
Обозрение Российских владений за Кавказом в статистическом, этнографическом, топографическом и финансоовом отношенях, ч. I-IV. (1836-1840). СПб.
Парсамян, В. (1945). *А. С. Грибоедов и армяно-русские отношения.* Ереван.
Рапорт Завелейского Николаю I от 23 октября 1829 г. (1878). *АКАК, т. VII.* Тифлисъ.
Рожкова, М. К. (1949). *Экономическая политика царского правительства на Среднем Востоке во второй четверти XIX века и русская буржуазия.* Москва-Ленинград.
Тархова, Н. А. (1994). О „Проекте Российской Закавказской Компании" (по материалам архива и. ф. Паскевича в РГИА. *Проблемы творчества А. С. Грибоедова / РАН. Отд-ние лит. и яз., Пушкин. комис.*
Шадури, В. (1946). *Грибоедов и грузинская культура.* Тбилиси.

References

sstsa, f. 2, reg. 1, c. 1812. sakartvelos saist'orio tsent'raluri arkivi [Central Historical Archive of Georgia].
sstsa, f. 2, reg. 1, c. 2340. sakartvelos saist'orio tsent'raluri arkivi [Central Historical Archive of Georgia].
gozalishvili, g. (1935). 1832 ts'lis shetkmuleba [1832 Georgian Plot], I. t'pilisi: sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba [Tiflis: State University Press].
Khundadze, G. K'ik'ilashvili V. (2012). sakartvelo-p'olonetis urtiertobis ist'oriidan [From the History of Georgian-Polish Relations]. Tbilisi.
https://runivers.ru/doc/d2.php?CENTER_ELEMENT_ID=147286.
Andronikov, I. (1968). Tetrad Vasilija Zavilejskogo [Vasily Zavileysky's Notebook]. "Prometei", №5.
Berg, N. B. (1866). Zapiski Berga o polskih dogovorah i vostanija 1831-1863 gg. [Berg's notes on the Polish treaties and the uprisings of 1831-1863], Vilno.
Griboedov, A. S. (2006). Polnoe sobranie sochinenij v treh tomah, tom tretij, pis'ma, dokumenty, sluzhebnye bumagi. [omplete Works in Three Volumes, Volume Three, Letters, Documents, Official Papers], Sankt-Peterburg.
Enikolopov, I. (1954). Griboedov v Gruzii. Tbilisi: Izdatel'stvo Zarja Vostoka [Griboyedov in Georgia. Tbilisi: Zarya Vostoka Publishing House].
Enikolopov, I. K. (1929). A. S. Griboedov v Gruzii i Persii [Griboyedov in Georgia and Persia]. Tbilisi.
Markova, O. (1951). Novye materialy o proekte "Rossijskoj zakavkazskoj kompanij" A. S. Griboedova i P. D. Zavilejskogo,. Istoricheskij arhiv, t. 6 [New materials on the project of the "Russian Transcaucasian Company" of A. S. Griboyedov and P. D. Zavileysky. Historical archive, v. 6].
Nechkina, M. V. (1947). A. S. Griboedov i dekabristy [A. S. Griboyedov and the Decembrists]. Moskva-Leningrad.
Obozrenie Rossijskih vladenij za Kavkazom v statisticheskom, jetnograficheskom, topograficheskom i finansoovom otnoshenjah [Review of Russian possessions beyond the Caucasus in statistical, ethnographic, topographic and financial respects], p. I-IV. (1836-1840]. St.Petersburg

Parsamjan, V. (1945). A. S. Griboedov i armjano-russkie otnoshenija [A. S. Griboyedov and Armenian-Russian relations]. Erevan.

Raport Zavelejskogo Nikolaju I ot 23 oktjabrja 1829 g. [Zaveleisky's report to Nicholas I, October 23, 1829] (1878). Acts collected by the Caucasian Archaeographic Commission, v. VII. Tiflis.

Rozhkova, M. K. (1949). Jekonomicheskaja politika carskogo pravitel'stva na Srednem Vostoke vo vtoroj chetverti XIX veka i russkaja burzhuazija. Moskva-Leningrad [Economic policy of the tsarist government in the Middle East in the second quarter of the 19th century and the Russian bourgeoisie. Moscow-Leningrad].

Tarhova, N. A. (1994). O „Proekte Rossijskoj Zakavkazskoj Kompanii" (po materialam arhiva i. f. Paskevicha v RGIA. Problemy tvorchestva A. S. Griboedova / RAN. Otd-nie lit. i jaz., Pushkin. komis. On the "Project of the Russian Transcaucasian Company" (based on the materials of the archive of I. F. Paskevich in the Russian State Historical Archive. Problems of the creativity of A. S. Griboyedov / RAS. Department of Literature and Languages, Pushkin. commission].

Shaduri, V. (1946). Griboedov i gruzinskaja kul'tura [Griboyedov and Georgian Culture]. Tbilisi.